გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## საკუთრად შპალიერის მაღაზია
კონსტანტინე იაკობის ძის
**არუთინოვისა**

(ერევნის მოედანი, გუბერნიის სამმართველოს გვერდით, სახლი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკისა; განყოფილება შუა-ბაზარში, სახლი აივაზოვისა, ჯიგრაშნის ეკკლესიის პირდაპირ).

დიდ-ძალი **შპალიერი** მივიღეთ, ნაჭერი 12 კაპეიკიდგან და უფრო ძვირი. მაღაზიაში არის აგრეთვე მრავალ-გვარი

**ამერიკანული კლეონკები**

სტოლის გადასაფარებლად და სხვ.

ყოველთვისა გვაქვს შპალიერი რუსეთისა და უცხო ქვეყნების ფაბრიკისა; აგრეთვე სხვა მოწყობილობა ოთახის მოსართველად.

მორთულობის საქმეს კისრულობს ცნობილი ტფილისში დეკორატორი, **ივანე ერნესტის ძე ლანკო**, რომლის ნახვა შეიძლება მაღაზიაში დილის 11-იდგან 12 საათამდე და საღამოს 8 საათიდამ მაღაზიის დაკეტვამდე. (12—7)

**წიგნის მაღაზია დ. საჩხერეს**

ყარამან ტ. ჩხეიძისა

დაბა საჩხერეში დაარსდა წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება გამოცემის ფასად ყოველნაირი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები. იქვე იშოვება ძალიან იაფად ქაღალდი, რუსულ-ქართული რვეულები და ყოველ ნაირი სამწერლო ნივთები. (1—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

**შინაური საქონელი**

და

მისი გონიერი მოვლა-მოშენება.

ივ. როსტომაშვილის მიერ.

გამოცემა

წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებისა.

**ფასი ერთი შაური**


## ბათუმის სკოლის გამო.

ბათუმის სკოლის საქმე შეიძლება ჩავთვალოთ ამიერიდან დამყარებულად მტკიცე საფუძველზე. ადგილი სკოლისათვის ქალაქს დაუთმია და ასაგები შენობისთვის ფულიც ერთს წამს მოგროვილა, თითქმის ორას თუმნამდე.

რასაკვირველია, ეს კაპიტალი არ იკმარებს, რომ სკოლა ააშენონ, მაგრამ საგულისხმოა, დანარჩენ საჭირო ფულსაც მალე მოაგროვებენ. როდესაც ისეთის სიყვარულით და ხალისით მოეკიდება კაცი საქმეს, როგორიც გამოიჩინეს სკოლის დაფუძნების მეთაურებმა, რა არ უნდა მოხერხდეს?

ჩვენს ხალხში ყოველთვის უყოფილა და იქმნება მხურვალე სურვილი საზოგადო საქმის დახმარებისა, და, თუ მოწინავენი საზოგადოებისა გულ-მოდგინედ მოეპყრობიან ამ კეთილს თვისებას ერისას, ეჭვი არ არის, ყოველი მეცადინეობა დაგვირგვინდება. საზოგადოდ, ქართველს კაცს უარის თქმა ძალიან უჭირს, რაც უნდა უთხრათ, და ამიტომ თითოეულს აზრს, წინადადებას, რომელსაც მიაწოდებენ საზოგადოებას, უთუოდ საფუძვლად უნდა ჰქონდეს სიმართლე და საჭიროება.

ამას გარდა, საჭიროა, რომ ხალხმა, რომელიც ასულდგმულებს ყოველს საქმეს, ნათლად დაინახოს კეთილი ნაყოფი თავის ღვაწლისა და შეწირულობისა.

ჯერ-ჯერობით-კი ამ მხრით ქართველი განათლებული თაობა დიდ ვალშია თავის ქვეყნის წინაშე და მაინცა და მაინც არც ეტყობა, რომ ამ ვალის გადახდა ეჩქარებოდეს.

ის რამოდენიმე ასი ქართველი ახალგაზდა კაცი, რომელსაც უმაღლესი სწავლა მიუღია, 15 და 20 წელიწადი სასწავლებელში გაუთევია და, იქნება, უკანასკნელი ოჯახის ღონე იმის გამოზრდას მონდომებია—რითი უხდის ვალს ან ოჯახს, ან სამშობლოს?!

თქვენ რომ ისეთი ალაგი იშოვოთ, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა და კავშირი არა აქვს ქართველის ცხოვრებისათვის, და იმოდენი ჯამაგირი გაიჩინოთ, რომ ძლივ-ძლივს თავი ირჩინოთ—ეს ხომ არც ოჯახისა და არც ქვეყნის წინაშე ვალის გადახდა არ იქნება?

ჩვენ ასე გვგონია და ვფიქრობთ, რომ არ ვცდებით: ქართველ კაცის სწავლა, მეცადინეობა და მოღვაწეობაც მხოლოდ მაშინ არის დასაფასებელი და პატივსაცემი, თუ იგი ჰმატებს თავის სამშობლოს რამეს. ეს რამე იქნება გონებითი დახმარება ერისა, ზნეობითი, თუ ნივთიერი—სულ ერთია. აქ ყველას თავის ნიჭის შესაფერად მოეთხოვება და უპირატესობა დამსახურებისა არც არის მოსახსენებელი. მაგრამ რაიმე სამსახური-კი უთუოდ უნდა მიუძღოდეს ყოველს განათლებულს ქართველს.

მეველე

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლევანდელმა მორიგმა კრებამ, როგორც მკითხველებმა იციან, სუბსიდიაზე უარი უთხრა „ქართულ დრამატიულ საზოგადოებას.“

ამის გამო საზოგადოება ვერა კისრულობდა მომავალ სათეატრო სეზონისთვის მუდმივი არტისთა დასი მოეწვია, და კერძო კაცნი აპირობდნენ დასის შედგენას.

ეხლა, როგორც გავიგეთ, ბანკის ზედამხედველ კომიტეტს სამართლიანად დაუნახავს მისცეს დრამატიულ საზოგადოებას ის ასი თუმანი, რომელიც ერთს წარსულ წელთაგანში გადაწყვეტილი ყოფილა და არ-კი მისცემია „საზოგადოებას.“

ამ ფულის იმედით დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი ისევ შესდგომია არტისტთა დასის მოწყობას მომავალ სეზონისათვის.

*** ვანქის სომხთა ტაძრის მღვდელს ტერ-ერძიკ ტერ-ერძნიკიანცს გალობის მოყვარულთაგან დასი შეუდგენია კათოლიკოზის მკრტიჩ I დასახვედრად.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილემ მისწერა ქალაქის მოურავს, რომ მის-მიერ სანიტარებად დანიშნულთ, ბ-ნთ რევაზოვს, პავლოვსა და ტერ-მარკოზიანს არა რაიონი არ ჩაჰბარებიათ და არც უფლება აქვთ მინიჭებული, რომ თავისთავად შეეძლოთ მოქმედება. იმათ მხოლოდ თვალ-ყური უნდა ადევნონ ქალაქს და, თუ სანიტარულის წესის დარღვევა შენიშნეს სადმე, ან პოლიცმეისტერს უნდა მოახსენონ, ან ადგილობრივს ბოქაულს შეატყობინონ.

*** 23 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე საგურამოელ გლეხის გიორგი ქილაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ქალაქის მცხოვრებ ალექსი გასპაროვის მოკვლა. ამასთანავე მოკლულის ცოლსაც ის ბრალი ედებოდა, რომ იმან იცოდა თავის ქმრის მოკვლის ამბავი და მთავრობას დროზე არ გამოუცხადა. საქმე ესე ყოფილა. გასპაროვი თავის ცოლით და ქილაშვილი ტფილისიდგან შავნაბადს მიდენილან სალოცავად. გზაში ორს მეგობარს ჩხუბი მოსვლია. გასპაროვს რევოლვერი ამოუღია და ქილაშვილისათვის დაუმიზნია. ქილაშვილს კიდევ ხანჯალი უძგერიაძრავდენსამე ადგილას დაუჭრია გასპაროვი, რომელიც იქვე მომკვდარა. ქალი გაქცეულა. ქილაშვილი დასწევია და დაჰმუქრებია, თუ გამამხელ, ცოცხალი არ გადამირჩებიო. ქალიც გაჩუმებულა.

პოლიციის ბოქაულმა გლებოვმა მიაგნო მკვლელის კვალს და ქილაშვილიცა და გასპაროვის ქვრივიც მიიხმო. ამათ მაშინადვე აღიარეს თავისი დანაშაული.

ოლქის სასამართლომ მიუსაჯა: ქი-

## ფელეტონი

### დედა-ბერი სამსონი

პოლ ეზისა

(დასასრული *)

მთლად გაოცებულმა წმინდანმა (ბუავომ) შემდეგი ამბავი გაიგონა დედაბერ სამსონისაგან.

— მამაჩემი დიდს რევოლიუციაში მონაწილეობას იღებდა. როცა ამ დროზე დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს, სახე აენთებოდა, ახლაც თვალ-წინ მიდგა მისი გაღვიძებული, ნახშირივით შავი, მოელვარე თვალები. მისი ნალაპარაკევი ყველაფერი არ მაგონდება, მხოლოდ ის მახსოვს, რომ მისი სიტყვები გულის სიღრმემდის მწვდებოდა და იმის ლაპარაკის დროს ჟრუანტელი მივლიდა. ვგრძნობდი, რომ მის დროს საწყალის ხალხის საკეთილდღეოდ ბევრი-რამ გაკეთებულა, ვგრძნობდი, რომ ამ დაჩაგრულს ხალხს მას აქედ წინანდელსავით ზიზღით აღარ უყურებდნენ. მამა ჩემი პატიოსანი კაცი იყო, მუშაობაში დღე და ღამეს ასწორებდა, შრომასა და გარჯაში სული ერთმეოდა; მთვრალი თავის დღეში არავის უნახავს, არც ერთხელ ტყუილი არ უთქვამს.

ბ-ნ ბუავოს უნდოდა მოხუცისათვის სიტყვა გაეწყვეტინებინა.

მოხუცი მიხვდა, ანიშნა—მომითმინეო, და ისევ განაგრძო.

— საწყალმა ხალხმა რევოლიუციის შემდეგ ჩქარა დაჰკარგა ერთი ნაწილი იმ ბედნიერებისა, რომელიც მას იმ რევოლიუციამ მიანიჭა. დღე და ღამე მათმა მკლავებმა, დასვენება რა იყო, არ იცოდა და ლუკმას ვაი-ვაგლახით შოულობდნენ. მამა ჩემი და მისი ამხანაგები ხანდისხან ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე: „რა კარგი იქმნება, რესპუბლიკა ისევ დაგვიბრუნდესო!“ მაგრამ ამგვარის აზრით გამსჭვალული კაცი ძლიერ ცოტა იყო. ეს ამბავი, რომელზედაც მე მოგახსენებთ, ორმოცდა-ათის წლის წინად მოხდა. მუშების უმეტესობა ჯერ ისევ იმაზე ლაპარაკობდა, რომელიც წმ. ელენეს კუნძულზე მოკვდა. 1830 წელს—ჩემის ჯვარის წერის მეორე წელიწადს, ჩემი მიშელი ძუძუმწოვარა მყავდა. მახსოვს, როგორ ავკანკალდი, როცა ჩვენს სახლთან შეგროვილ ქალებისაგან სიტყვა „ბარიკადა“ გავიგონე. მამაჩემი და ჩემი ქმარი ორივე ერთს ქარხანაში მუშაობდნენ. ერთს დღეს ჩვეულებრივ ადრე დაბრუნდნენ და მთხოვეს—პური გვაჭამეო... ეს საღამო ჩემს დღეში არ დამავიწყდება!.. საჩქაროდ სუფრა გავშალე და, რაცა მქონდა, მივიტანე. თანაც ქურდულად ორივეს ვათვალიერებდი. არც ერთს ხმა-კრინტი არ დაუძრავს, ისე ჩუმად იყვნენ, და ქმარს ჩემსკენ არც-კი მოუხედნია. პურის ჭამას რო მორჩნენ, ადგნენ. სანამ სახლიდგან გავიდოდნენ, მამა მომიბრუნდა და მითხრა: „გამხნევდი, შვილო, რესპუბლიკისათვის საბრძოლველად მივდივართ!..“ მე მაგიერის თქმაც ვერ შევძელ და თვალთაგან ნაკადული წამსკდა. ქმარმა გადამკოცნა და გულში მაგრა ჩამიკრა... ამ დროს აკვანში ბავშვმა ტირილი დაიწყო... მამაჩემი მივიდა, აიყვანა ხელში, გადაკოცნა და ჩემს ქმარს გადასცა, იმანაც თავის მხრივ მხურვალედ ჩაჰკოცნა... მერე მე გადმომცა... წავიდეთ! სთქვა მამამ, და ორივენი გავიდნენ. მთელი ღამე ფანჯარაზე გადაყუდებული ვიყავ და მწარედ ვსტიროდი. მეორე დღეს ჩემი ქმარი საკაცეს მოსდევდა, რომელზედაც ჩემი უბედური მამა მკვდარი იდო...

ამ ამბების მოგონებაზე მოხუცი გაჩუმდა, თითქოს ხმა ჩაუწყდაო; მერე დაბალის ხმით განაგრძო.

— ეს პირველი დანაკარგი იყო. საქმე არც 1830 წლის შემდეგ წასულა უკეთესად... რესპუბლიკა მაინც ვერ დამყარდა. პირველს დღეებში, რევოლიუციის შემდეგ, მუშებს ბევრს რასმე დაჰპირდნენ, მაგრამ ჩქარა დაივიწყეს ისინიცა და მათი ღვაწლიც. 1848 წლის დამდეგს ჩემს ქმარს და მის ამხანაგებს ცოტა გული მოეცათ: როგორც იყო, რესპუბლიკა დაარსდა. მაგრამ მათმა სიხარულმა დიდს ხანს არ გასტანა. თიბათვეში იძულებულნი გახდნენ ისევ თოფები აეღოთ ხელში. ჩემი ქმარი ეხლაც მშვიდობით გადარჩა. მაგრამ თიბათვის დღეების შემდეგ, რადგან მეამბოხენი ვერას გახდნენ, ისინი დამნაშავებად აღიარეს... ისე, როგორც თქვენ ამას წინად ჩემს შვილს უწოდეთ... ის—და დამნაშავე! ვინ? ჩემი ქმარი?—სცდებით, ბატონო! ის პატიოსანი კაცი იყო, ამასთან სამაგალითო ქმარიცა. განა ვისმე შეუძლიან მას ავაზაკობა დასწამოს?—თავის დღეში!—კაცმა თავი გასწიროს იმისთვის, რაც სიმართლედ მიაჩნია, და თავისის თავ-განწირვით ძვირფასი ცოლი და საყვარელი შვილი ობლად, უნუგეშოდ დაჰყაროს,—განა ეს დანაშაულობაა, განა ეს ავაზაკობაა?.. არა, ბატონო! მე თვითონ ჩემის თვალითა ვნახე წმ. ბენუას მონასტერში თოფით როგორა ხვრეტავდნენ იარაღ აყრილს ხალხს. ახლაც ეს სურათი თვალ-წინ რომ წარმომიდგება, თმა ყალხზე მიდგება...

ბ-მა ბუავომ ანიშნა,—სიცრუვეაო.

— მე მოგახსენებთ იმას, რაც ჩემის საკუთარის თვალითა ვნახე! ამაყად განიმეორა ბებერმა. ჩვენ არ

*) იხ. «ივერია», № 156.

ლაშვილს პატიმართა სამწვრთნელოში გაგზავნა სამის წლით, დ ყოველ ღირსების აყრა; გასპაროვის ქვრივს —ციხეში დაპატიმრება სამის თთვით.

*** საეკლესიო მამულების შესახებ უმართებლესმა სენატმა ძალიან საყურადღებო აზრი წარმოსთქვა. თითქმის ყველას მოეხსენება ესრედ წოდებული კანონი „დავნოსტისა,“ ე. ი., თუ ვისმე ათის წლის განმავლობაში რომელიმე მამული უჭირავს და უდაოდ მფლობელობს, კანონიერი პატრონიც რომ გამოუჩნდეს ამ მამულს, მაინც ამისთანა მფლობელს ვერ შეეცილება. სენატმა განმარტა, რომ ეს „დავნოსტის“ კანონი საეკლესიო მამულს არ შეეხება და, რავდენი ხანიც უნდა ეჭიროს კერძო კაცს, მაინც ეკკლესიას ნება აქვს მამული დაიბრუნოსო.

*** მომავალ სამოსწავლო წლიდგან ტფილისის სატეხნიკო სასწავლებელში მეოთხე კლასს დააარსებენ, სადაც ასწავლიან ტელეგრაფიასა და ბუხგალტერიას.

*** სატეხნიკო სასწავლებელთათვის რუსეთში ახალი წესდება შეუდგენიათ, რომელიც შემოღებულ იქმნება მომავალ სამოსწავლო წლიდგან. ყველა სასწავლებელთან 15 ადგილი ღარიბთა შვილებს დაეთმობა.

*** ოთხშაბათს, 21 ივლისს, ღამის 12 საათზე ტფილისში დაუშვა კოკის პირული წვიმა, რომელმაც ერთს საათს გასტანა. ზოგიერთ ქუჩებზედ მოვარდა საშინელი ნიაღვარი, მაგალითად ავჭალისა, ნიკოლოოზის ქუჩის ბოლოს, კრასნოგორსკისა, კიროჩნისა და მრავალ სხვა ქუჩებშიაც. ამ ქუჩებზედ ფეხით-კი არა, ფაიტონითაც ძნელი იყო გადასვლა. კიროჩნის ქუჩაზედ ერთი ფაიტონი უნდა გადასულიყო. ნიაღვარმა ფაიტონი გადააბრუნა და შიგ მჯდომი კაცი და მეფაიტონე კინაღამ ნიაღვარმა მტკვარში გააქანა. ბევრ ქუჩებში ქვაფენილები გააფუჭა. გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ კრასნოგორსკის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლის ქვემო სართულში წყალი შევარდაო. ნაზაროვის სახლი ძლიერ დაშავდა, ზარალი 3 ათას მანათამდეა. არსენალის ქუჩაზედ ძლიერ დაზარალდა ნიაღვრისაგან სახლი სარქის სტეფანოვისა. პოლიციამ ამ სახლიდგან მცხოვრებნი გამოიყვანა. დაშავებულია აგრედვე კუკიაში სახლი პორფიროვისა. ამ სახლის მთელი ქვემო სართული წყლით გაივსო. ზარალი 3 ათას მანათამდეა. რამდენიმე სახლია ნიაღვრისაგან დაშავებული ვერაზედა და მთაწმინდაში.

*** წ. ანტონ მარტყოფელის მონასტერში მრავალი მლოცველი დაიარება ზაფხულობით ტფილისიდგან და სხვა ადგილებიდგან. ბევრი ოჯახობითაც მიდის და ღამეს ათევს იქ. მონასტერში რავდენიმე ოთახია მლოცველთათვის დანიშნული, მაგრამ ყველას არა ჰყოფნის. ზოგი ქალაქელი მთელ ზაფხულსაც რჩებოდა მონასტერში და ღამის მთეველ-კი თავშესაფარიც არა ჰქონდა. ამის გამო მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარხოსს განკარგულება მოუხდენია, რომ მონასტრის შენობაში მხოლოდ ღამის მთეველთ მიეცეთ ბინა და, ვისაც დიდის ხნით უნდა მარტყოფში ყოფნა, სოფელში შეუძლიან დაბინავდესო. შეძლებულმა მლოცველმა ღამის სათევლად მიცემულ ოთახში მცირე ფასი უნდა გარდიხადოს მონასტრის სასარგებლოდ. მლოცველთ ადუღებული წყალი მიეცემათ უფასოდ ჩაისთვის.

*** რამდენსამე თათარს ტფილისში ხელობად გაუხდია, იპარონ სხვილ-ფეხი საქონელი ქალაქ გარშემო სოფლებში და ჰყიდონ ყასპებზე საკლავად. ამ თათრებს გუშინ დილით, 23 ივლისს მოუპარავთ ცხვარი და ცხენები ავლაბრის ნაპირას, პეტრე პავლეს სასაფლაოს ახლო, ფარეხიდან. მეცხვარეები დასდევნებიან ქურდებს. ამტყდარა თოფის სროლა. მდევარს მიშველებიან სამეგრელოს პოლკის ჯარის კაცნი. ერთი თათარი ხევში ჩაჩეხილა. ორი ჯარის კაცთ შეუპყრიათ. დანარჩენი ორი დილის 8 საათზე პოლიციას შეუპყრია.

*** ს. ქვემო-ქალაქს; მთავრობის განკარგულებით შვიდი სამამასახლისო: ოკამისა, ალაიანისა, საკორინთლოსი, ქვემო-ჭალისა, სამთავისისა და ლამისყანისა უნდა ერთად შეერთდეს და შვიდივემ ერთი ნასწავლი და მცოდნე მამასახლისი უნდა ამოირჩიოს. მამასახლისს უნდა ჰქონდეს ჯამაგირი 600 მან., მწერალს 300 მ., 4 ჩაფარს 720 მ., 7 იასაულს 560 მან. და სამს მოსამართლეს 300 მ., სულ 2,480 მან. ეს ახალი ხარჯი ძალიან იუარა გლეხ-კაცობამ და უარი სთქვა ახალს ნასწავლ მამასახლისის არჩევანზედ, როგორც ვყოფილვართ, ისევ ისე დავრჩებითო.

*** გაზეთი Нов. Обозр. იუწყება, რომ ოთხს სცენის მოყვარულს სომეხს: ბ-ნთ თუმიანცსა, გ. ტერ-ნიკოლოსოვს, სულხანიანცსა და კ. ეჯუბოვს, განუზრახავთ სომხურ სათეატრო დასის შედგენა, რომლისთვისაც სტამბოლიდგან მოწვეული იქმნება ორი არტისტი ქალი.

*** 23 ივლისს დიტიატკოვსკის ამხანაგობის ქაღალდის მაღაზიის გამგებელმა მიხეილ ხრიაკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ მაღაზიიდამ მოუპარავთ სხვა და სხვა სავაჭრო საქონელიო. ეჭვი გამოაცხადა იქვე მოსამსახურე გუსტავ ლაოზე. პოლიციის მოხელემ მაჭავარიანმა გაჩხრიკა ლაოს სადგური და იპოვნა ორი კალათი და ყუთი, სხვა და სხვა ნივთეულობით სავსე, სულ 960 მან. ღირებული. დამნაშავე შეიპყრეს და თავისი დანაშაულიც აღიარა.

*** გრიგოლ ხოდზკომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 20 ივლისს ჩემი ცოლის ძმა, 14 წლისა, იაგორ ბებუროვი წავიდა სადღაც და მას აქეთ აღარა სჩანსო.

*** ამავე დღეს, ღამით, ადელხანოვის ქარხნის ახლო, სოფ. ბოგვის მცხოვრებს, ივანე თოიდუაშვილს, საქონლის მატარებლით კირი მიჰქონდა, ჩასძინებოდა ვაგონზე და გადმოვარდა, მოჰყვა თვლებს ქვეშ და ისე მძიმედ დაშავდა, რომ 23 ივლისს გარდაიცვალა.

*** 23 ივლისს, ღამის 11 საათზე, ვიღაც მტკვრისგან მოტაცებული კაცი დაეჯახა დოლანოვის წისქვილს და ჰყვიროდა, მიშველეთო. მაგრამ ვერავინ მიეშველა და წყალმა შორს გაიტაცა. მაშინვე შეატყობინეს დოლანოვს ხარის წკარუნით ეს ამბავი, მაგრამ, რადგან ბნელოდა, დოლანოვმა ვერა უშველა რა.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ:

პოლკოვნიკობა—43 დრაგუნის ტვერის პოლკის პოდპოლკოვნიკს თავად ვაჩნაძეს.

კაპიტნობა—მიხეილოვსკის ციხის არტილერიის შტაბს-კაპიტანს თავ. იაშვილს.

შტაბს-კაპიტნობა: იმავე არტილერიის პორუჩიკს ქორქაშვილს; გეორგიევსკის ბატალიონის პორუჩიკს წიკლაურს; ავარისას—პორუჩიკს თავად აბაშიძეს.

პორუჩიკობა: თემირხანშურის ბატალიონის პოდპორუჩიკს თავ. თარხანმოურავს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხელთუბანი** (გორის მაზრა), 20 მკათთვე. ჩვენკენ ყანები თითქმის სულ დაიმკო. არის კიდევ მოუმკალი თითო-ოროლა ხელ-მოკლე კაცისა, რომელსაც მუშის დაჭერა არ შეეძლო. ჩვენს ხალხს ერთი კარგი ჩვეულება აქვს: რამდენიმე კაცი, ასე ხუთი-ექვსი ან მეტი, გადიმბიან, დღეს ერთის ყანაში მიდიან, ხვალ მეორისაში, ზეგ მესამისაში და ამ რიგად ერთმანეთის დახმარებით მკიან ყანებს. „მარტოკა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“ ამბობს აქაური გლეხი.

მაგრამ ერთი საცოდავი და საბრალო ჩვეულებაცა აქვთ აქ შიგადაშიგ მცხოვრებლებს. თუ გლეხს ერთი რამდენისამე კოდის იმედი აქვს, თითონ როდი-ღა კადრულობს მკასა; ქირაობს მუშას, აძლევს ან ნარდად, ან დღიურად და ისე მკის. ამისთანა გლეხებს წლის მოსავალი წლის ნახევრამდი ძლივს შეჰყვება ხოლმე და დანარჩენ დროს ვალით გამოდიან. მკისთვინაც ვალს იღებენ, თორემ ნაღდად რომ ჰქონდეთ, ვინ ინაღვლიდა. მუდამ წელიწადს იღებს ახალ-ახალ ვალებს, ძველიც გადაუხდელი აქვს და ბოლოს ვალი ისე დაამძიმებს, რომ, რაც უნდა მცირე სარგებელი იხადოს, მაინც წელში ველარ გაიმართება. აქაური გლეხი ფიქრობს, უთუოდ, ღმერთი ერთბაშად მომცემსო და მაშინ გადავიხდი ვალებსაო.

აქაური ვალი თორმეტ აბაზზედ მეტს სარგებელს (24%) არ იხდის: თუ ვადაზედ მისცეს, ორ მანეთზედ მეტსაც არ იღებს თუმანზედ ფულის პატრონი. ათი შაური და ორი აბაზი აქ არაკად თუ ითქმის, თორემ სარგებელს ვინ მისცემს მაგდენსა. ფულს ერთმანეთშივე შოულობენ, მომეტებულად ქალებსა აქვთ გასაცემი. იქნება, ცოტად თუ ბევრად, ამ ფულის ცოტა სიიაფის ბრალიც იყოს აქაურ ხალხის დავალიანება, თუმცა სხვა მიზეზიც ძალიან ბევრია. ბევრი გლეხია სოფ. ხელთუბანში, რომ ორმოც-სამოცი და ოთხმოცი თუმანიც ემართოს. თუნდა ერთის ხარის მეტი არა ჰყვანდეს კაცსა და ვალი-კი არ ემართოს, მაინც ყველა იმას შეჰნატრის, რა უჭირსო, თავისთვინ არის, ვალი არა ჰმართებს, ერთი და მეორეო.

ხელთუბნიდამ სხვა სოფლებში დედაკაცების მთელი „პოლკი“ დადის სავაჭროდ. რომ არ შევცრცხვეს, სამს კომლზედ ერთი დედაკაცი მეწვრილმანობს. მინდორში-კი, რომ მოჰკლა, სამუშაოდ არ წამოვა.

ჭირნახულს გამოსავალი კარგი აქვს. ნაადრევი ყანები კარგი იყო, ნაგვიანევი ზოგი თხელი მოვიდა და ზოგი სრულებით მოსცდა. ქერები-კი ძალიან კარგი იყო. სიმინდებსაც კარგი პირი უჩანს. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მოსავალი შუათანა იყო. ძალიან ბევრი ყანები დაითიბა სითხელის გამო.

ჭირნახულის მაზანდაზედ ეს შეგვიძლიან ვსთქვათ: შარშანდელი აღარც პურია, აღარც ქერი, სიმინდი და ბზე. ყველა მოთხოვნილებას ახალი უნდა გაუძლვეს. შარშან კალოზედ, რა-კი ძველი პური ბევრი იყო და ბაზრის მოთხოვნილება მცირედი, კოდი პური ცამეტ აბაზიდამ თოთხმეტამდე ფასობდა, ფუთი თოთხმეტ შაურად. ქერი კოდი შვიდ აბაზად, სიმინდი ექვს აბაზად. ბზეს, საგოროდ დადებულს, ათ შაურად სამ აბაზად ძლივსა ჰყიდნენ ურემსა. ბარდანად რო ვიანგარიშოთ, ხუთი შაური მოვა, ან ექვსი. მერე ფასმა ასე აიწია: კოდი პური (ოთხი ფუთია აქეთკენ,

დავივიწყებია ის სისაძაგლე!.. როცა ამას დევნა მოჰყვა, ჩემმა ქმარმა თავს უშველა. მთელი ორი თთვე ვმალამდი ქმარ-შვილს, თუმცა-კი შვილს აჯანყებაში არავითარი მონამონაწილეობა არ მიუღია; ის მაშინ თვრამეტის წლისა შესრულდა. მაშინ ისეთი დრო იყო—მართალსა და მტყუანს არავინ არჩევდა, ვისაც-კი შეხვდებოდნენ, ყველას იჭერდნენ.

შემდეგს წელს მიშელს ჯარის კაცობის კენჭი ერგო და ალჟირში წაიყვანეს, სადაც მან ოთხი წელიწადი დაჰყო. კარგია კიდევ, იქ დარჩა და 1851 წელს პარიჟში არ მოუხდა ყოფნა, თორემ, ვინ იცის, იქმნება, თავის მამისათვის თოფი ესროლინებინათ...1851 წელს 3 ქრისტეშობისთთვეს ჩემი ქმარი მურის ქუჩაზე მომიკლეს. სანამ მისი გაფითრებული თავი ხელში მეჭირა და დაჩოქილი ვკოცნიდი, ერთი ტყვია მეც მომხვდა.

ამის თქმაზე დედაბერმა გული გადიღელა და ამპარტავნულად და ურცხვად ჩამჭკნარ ძუძუებს ზემოდ ჭრილობის ადგილი უჩვენა.

— მეც ქმარის გვერდით დავეცი, განაგრძო დედაბერმა,—და არ ვიცი, მერე რა მოხდა. როცა გონს მოველ, ვიგრძენ, რომ დავქვრივებულიყავ. სანუგეშოდ ერთი მიშელი-ღა მრჩებოდა. სამსახურიდგან ისიც მალე დაბრუნდა. ამას შემდეგ საცოდავმა ჩემდამი სიყვარული გაიორკეცა. ვცხოვრობდით, როგორც შეგვეძლო, და ნუგეშს ჩვენის ძვირფასის მიცვალებულების მოგონებაში ვპოვებდით. რესპუბლიკაზე ყველამ იმედი გადიწყვიტა. ჩვენს დროს მივაღოღიალებდით... შვილი მხოლოდ ჩემზე-ღა ჰფიქრობდა... სულ იმის ცდაში იყო, როგორ მოეარნა ჩემთვის, როგორ ვესიამოვნებინე... არც ერთს შვილს ისე არა ჰყვარებია თავისი დედა.

მოხუცს სიტყვები ყელშივე უქრებოდა. ბოლოს თვალები ძირს დაჰხარა და ხელახლად გაჩუმდა. ბ-ნი ბუავო უხერხულს მდგომარეობაში ჩავარდა და სცდილობდა სახეზე თანაგრძნობა გამოეხატნა.

— მალე მოვრჩები! განაგრძო მოხუცმა და თავი მაღლა აიღო.—ბევრმა ხანმა გაიარა, ჩემმა შვილმა ცოლი შეირთო, ისიც მშობიარობას გადაჰყვა, დამიტოვა მხოლოდ ის არსება, რომელიც ჩემს ბედნიერებას შეადგენდა. მე თქვენ უკვე მოგახსენეთ, რომ ბავშვი ურძეობისა გამო მომიკვდა-მეთქი. ახ, რატომ მე არ მოვკვდი იმის სანაცვლოდ.

ჩემი მიშელი პარიჟის კედლებზე პრუსიელთ წინააღმდეგ იბრძოდა. „დედილო, მითხრა მან ერთს საღამოს, როცა შინ დაბრუნდა,—მგონია, იქ, ვერსალში, უნდათ მტერს მოურიგდნენ და დამორჩილდნენ, მაგრამ მოვკვდებით და იმის ნებას არავის მივსცემთ“. ამის თქმაზე პირისახე ისე ენთებოდა, როგორც მის პაპას, როცა ეს უკანასკნელი პირველს რევოლიუციაში მონაწილეობას იღებდა... იცით ბოლოს რა მოხდა?.. როცა ყველაფერი მიწყნარდა, მიშელი დაბრუნდა ჩემთან მთლად გაფითრებული, ტანისამოს შემოგლეჯილი, გამხდარი, ისე რომ ცარიელი ძვალი და ტყავი-ღა იყო. ოთხი დღე და ღამე იმალებოდა ოთახში... მეხუთეზე-კი დაიჭირეს... აი, მთელი ჩვენი ცხოვრება!..

ახლა ხომ გესმით, უარს რად გეუბნებით — თქვენი მოწყალება არ მინდა-მეთქი? ხო ხედავთ, ჩემი ცხოვრება რა ცხოვრებაცაა, მაგრამ მიშელი უფრო უარეს დღეშია. ან რა სახსენებელია ჩემი სიღატაკე იმის ტანჯვასთან შედარებით! განა შემიძლია ჩემს თავზე ვიფიქრო მაშინ, როცა ვიცი, რომ იქ საწყალი ბიჭი, როგორც სულით, ისე ხორცით იტანჯება? ვინ იცის რამდენს ვაივაგლახს არ ითმენს, ვინ იცის რა ცეცხლშია ჩავარდნილი! მე მხოლოდ ჩემი მიშელი მინდა, იმის ნახვა მინდა, იმისი, იმის მეტი არა მინდა-რა! მერე თუნდაც მოვკვდე...

დედაბერი გაჩუმდა.

ბ-ნ ბუავოს ფაქიზს ყურებისათვის ესეც კმაროდა. რამოდენიმე გამოურკვეველი სიტყვა წაიბუტბუტა და ოთახიდგან გამოიპარა...

— ტყუილად მოგინდომებიათ მოწყალება მისცეთ, იმისთანა გადარეულს, უთხრა ბ-ნმა ბუავომ ქ-ნ დე-ვირმონისას. და იმანაც ჩქარა დავიწყებას მისცა შაქრის პურების გამყიდველი დედაბერი.

III

სამმა კვირამ განვლო. ქ-ბნ დე-ვირმონისას წვეულება ჰქონდა, მიპატიჟებული ჰყავდა ბ-ნი ბუავო და მრავალი სტუმარი. როცა დესერტად კრემი და სხვა ტკბილეული მოიტანეს, ბავშვმა უცებ წამოიძახა:

— დედილო, იცი, მონსოს ბაღში დედაბერი სამსონი აღარ მოდის. იმ დღეს მეკარემ ჟერმენას უთხრა—დედაბერი სამსონი, ეს ორი დღეა, თავის ოთახიდგან არ გამოსულაო. პოლიციის ბოქაული მისულა, ოთახის კარები შეუმტვრევია და დედაბერი იატაკზე მკვდარი-კი უნახავს. ექიმს უთქვამს—სიმშილისაგან მომკვდარაო. დედი, სიმშილით სიკვდილი რასა ჰქვიან? იმიტომ ჰკვდებიან, რომ საჭმელი არა აქვთ, განა?

პასუხი არავის გაუცია. ქ-ბნს დე-ვირმონისას ტანში ოდნავ შეაჟრჟოლა.

— დედი-ჯან, კრემი ცოტა კიდევ მამე!

თ. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთში $2^1/_2$ ფუთი) ხუთ მანეთზედ ავიდა, ქერი სამ მანათზედ, სიმინდი თოთხმეტ აბაზზედ და კიდევ მეტად; ბარდანა ბზე—მანეთზედ, მანეთ უზალთუნზედ. ეხლა-კი ფასმა დაიწია ცოტათი. კალოები ახლად გამართულა და ჯერ ბაზარში არ გააქვთ. მაზანდას სიმინდის მოსავალი დაგვანახვებს, რადგან თითქმის მთელი სოფელი სიმინდით იდგამს სულს. სიმინდს დიდი გამოსავალიცა აქვს. პური დღიურზედ ორი კოდი, ან ორ კოდ ნახევარი უნდა დაითესოს. მოსავალი რიგიანი რო მოვიდეს ათი კოდი მოვა; თუ გაკეთდა, იქნება, ოციც მოვიდეს. სიმინდი-კი ორი ჩანახი უნდა დაითესოს დღიურზედ და გამოსავალი, იქმნება, ოც-და-ათი კოდიცა ჰქონდეს. ათ კოდზედ ნაკლები დაბალი მოსავალიც არ იქმნება.

რა-კი პურს კარგი ფასი აქვს, გლეხებიც პურსა ჰყიდიან, ხარჯს იმითი იშორებენ და სიმინდს შინა სჭამენ, პურს მარტო სათესლად ახმარებენ და საზაფხულო მკისათვის ინახვენ.

ერთი უბედურობა ჩვენი ის არის, რომ ლიახვის დაშორებულ სოფლებს წყალი ძალიან უჭირს და ურწყავად აქ არაფერი არ მოვა. ხელთუბნელებს რუ აქვთ გამოყვანილი ლიახვიდამ, მაგრამ მუდამ გაზაფხულზედ ახლო-მახლო ხეველები გვიფუჭებენ რუსა და ყოველ წლობით რამდენიმე ოცი ურემი ფიჩხი და ბელტი უნდება. ან რა დიდი საქმეა, სულ ერთხელ უნდა გაკეთდეს და მუდამ წყალი გვექნება თუ სოფელს მეთაური ეყოლება, რომ დროზედ გამოაყვანინოს წყალი. აქაურები ერთმანერთს შესცქერიან, არ გამოჰყავთ წყალი და სიმინდები-კი სწორედ ტაროს ამოღების დროსა ხმება. უწყლობისა გამო სოფლის ზევით აქამდის თითქმის სიმინდი არც-კი ითესებოდა. მომეტებული მამული-კი აქა აქვს სოფელსა. სოფლის ბოლო წყაროებით ირწყვის. წლეულს რა-კი გრილი და ნოტიო წელიწადი იყო, სოფლის ზევითაც დათესეს სიმინდები, იქნება, მეჯუდა არ მოსწყდესო. რუ ნიაღვრებმა წაგვიხდინეს. დადგა თუ არა მკათათვე და მეჯუდაც სრულებით გაშრა. სიმინდებს ძალიან გაუჭირდა უწყლობა. ვინც შეძლებული იყო, მეჯრუხევში იყიდეს სარწყავი წყალი. ზოგმა მანეთი მისცა, ზოგმა ორი, სამი და ზოგმა ხუთიც. დღიურის მორწყვაში სამი მანეთი წაგვართვეს. ჩვენი რუ რომ გამოგვეყვანა დროზედ და გულ-შემატკივარი გვყოლოდა, თითო შაურიც არ დაგვეხარჯებოდა და აღარც სიმინდები გახმებოდა. მერე, რა-კი უწყლობამ გააჭირა საქმე, აქაური მასწავლებელი მამასახლისს დაემუქრა, უეჭველად გიჩივლებ მაზრის უფროსთან, თუ ხალხი არ გაიყვანეო. ხალხსაც ჩააგონა. ყველა დიდის სიამოვნებით დაეთანხმა. შაბათს დღეს ტყეში წავიდნენ ფიჩხისათვის და კვირას რუ გამოიყვანეს.

ოც-და-ერთიდამ აქ დაიწყებენ ნასწავლ მამასახლისის არჩევანს. ღმერთმა ქნას, კეთილად დაბოლოვებულიყოს ეს საქმე. ჩვენი სოფელი კარალეთზე არის მიწერილი. ცოტა უკან იწევს და არ ვიცი.

ქურდობა ისევ ხშირია. ამას წინად აქ გაიყიდა ექვსი ხარი, საწყალმა გლეხებმა ვალი აიღეს, ისე იყიდეს და ერთის კვირის შემდეგ-კი აღმოჩნდა, რომ ეს ხარები უჯარმელ გლეხისა ანდრია ფეიქრიშვილისა ყოფილიყო, სვენელს კაცს (ჩვენი მეზობელი სოფელია სვენეთი) მოეპარა და აქ გაეყიდნა. დაირეკა ბოქაულმა და ჩააბარა პატრონს, რომელსაც დიდი ხარჯი გაეწია, რომ ქურდებისათვის მიეგნო. დარჩნენ გლეხები პირ-ცალიერები: აღარსად ხარები და აღარსად იმათში მიცემული ფულები. მერე თითო ხარი ზოგი ხუთ თუმნად იყიდეს, ზოგი ოთხ თუმნად და ეს ამოდენა ფული წავიდა ამათ ხელიდამ. ის სვენელი ვაჟბატონები დააპატიმრეს, მაგრამ რა გამოვიდა! ორი სხვა ამხანაგიცა ჰყოლია.

ამავე დროს ოსებს მოეპარათ გორში ძროხები და გამოერეკათ, მაგრამ ხელთუბანში გაუთენდათ. სოფლელებმა დააყრევინეს, ქურდები-კი გაიქცნენ, ველარ დაიჭირეს. ზედ მდევარიც მოჰყვა და დაუბრუნეს ისევ პატრონს. საზოგადოდ აქ ქურდობა ძალიან ხშირია. გურიაში, იძახიან, ქურდობენო, და ჩვენც-კი, ოსების შიშით, ცხენი დღისითაც ვერ დაგვიბამს მინდორში ბალახზედ, თორემ ღამე ვინ დააგდებს გარედ, მაშინვე გააქროლებენ.

ქველიძე

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის გაზეთები ამ ჟამად ძლიერ ბევრსა ლაპარაკობენ მომავალ არჩევანებზედ. „Figaro“-ს აზრით, საჭიროა დაარსდეს ახალი დასი, კონსერვატორთა და ლიბერალთა კავშირის სახელით. ამ დასმა წინაალმდეგობა უნდა გაუწიოს რადიკალ-სოციალისტების დასს. გაზეთი „Temps“-ი ამბობს, რომ საჭიროა სრულიად შეიცვალოს სახელები სხვა-და-სხვა დასებისა. ხოლო უფრო კარგი იქმნება, რომ თითოეულმა კანდიდატმა წარუდგინოს ამომრჩეველთ თავისი პროგრამმა; ამ გვარად გამოაშკარავდება აზრი და სურვილი თითოეულ საარჩევნო ოლქისა. რაც შეეხება სხვა-და-სხვა დასების შედგენას, ეს დასები თავის-თავად შესდგება პალატაშიო.

— საპოლიტიკო დასმა, რომელსაც სახელად ეწოდება დასი რესპუბლიკელ სოციალისტებისა, გამოაქვეყნა თავისი საარჩევნო მანიფესტი. ამ მანიფესტით, დასი ითხოვს: შემოღებულ იქმნას რეფორმა სხვა-და-სხვა გარდასახადისა, მოგვეცეს სრული თავისუფლება მუშათა სინდიკატების დაარსებისა, დაევალოს მთავრობას, ალაგმოს ხოლმე თავგასულობა დიდრონ საფინანსო კომპანიებისა და, დასასრულ, ეკკლესიის საქმე განსაზღვრულ იქმნას სახელმწიფო საქმეთაგან.

— რამდენჯერმე გავრცელდა ხმა, რომ შრომის ბირჟა ხელახლად უნდა გაიხსნასო. მაგრამ მთავრობამ შესცვალა თავისი განზრახვა და ჰფიქრობს გადააკეთოს წესდება შრომის ბირჟისა. გაზრახვა აქვთ საქმის მწარმოებელთაც მისცენ უფლება ბირჟაზედ შესვლისა. გარდა ამისა ბირჟაზედ უნდა გაუქმდეს სხვა-და-სხვა ბიურო, რომელიც დაუარსებიათ მუშათა სინდიკატებს. მთავრობა სრულიად არა ჩქარობს ბირიჟს გახსნას. ბირჟა დაკეტილი იქმნება ვიდრე არჩევანები გათავდება.

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთებში ჯერ მაინც არ შესწყდა მითქმა-მოთქმა შესახებ სიამის საქმეებისა. გაზეთი „Times“-ი სწერს, რომ, თუ საფრანგეთმა არ შეაჩერა თავისი მოქმედება სიამის წინაალმდეგ, ინგლისი სამთა კავშირს მიემხრობაო. ეს მუქარა გაზეთებმა ხელზედ დაიხვიეს. გაზეთები ამბობენ, დროა შეიგნოს ინგლისმა, რომ იმას, როგორც ევროპაში, აგრეთვე სიამშიაც თავის მნიშვნელობის დაცვა შეუძლიან მხოლოდ საფრანგეთის მოწინაალმდეგე სახელმწიფოთა დახმარებითაო.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ სიამის მთავრობის პასუხი ფრანგულს ენაზედ დაწერილია ბელგიის მინისტრად ნამყოფის როლენ-ჟაკმენოსმიერ, რომელიც ამ ჟამად სიამის მეფის ხელმძღვანელია პოლიტიკაში და დაყენებულია ინგლისის მიერ.

## ხოლერა ევროპაში

გაზეთებში დაბეჭდილ ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ ამ ჟამად ხოლერა მოსდებია საფრანგეთსა, სამხრეთ დასავლეთის ქვეყნებსა და ქალაქებს: მომპელიესა, ლილს, ნიმს და სხვა. ფრანტინიონში ივლისის განმავლობაში ავად გახდა 51 კაცი და გარდაიცვალა 25. მადრიდშიაც ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავადმყოფობისისა. ჩრდილო-იტალიაშიაც ხოლერა ვრცელდება, თუმცა ძლიერ-კი არა; ვენგრიაში ამ სენმა ძლიერ იკლო, გალიციაში მთელ ივნისში ხოლერით არავინ გამხდარა ავად. რაც შეეხება გერმანიას, იქ ძლიერ ემზადებიან ამ სენის დასახვედრად, რომელიც ან საფრანგეთიდგან გადავა, ან რუსეთიდგან. ჯერ ჯერობით-კი გერმანიაში ხოლერა არ არის.

# წვრილი ამბავი

## კოშკი მდუმარებისა

აზიაში არის ერთი კუნძული ბომბეი, რომლის მცხოვრებნიც უნებლიედ იზიდავენ ყურადღებას თავის ზნე-ჩვეულებით. ამ კუნძულზედ არის ექვსი კოშკი მდუმარებისა. რა არის ეს მდუმარების კოშკი? ეს არის მაღალი, 100 ფუტის სიმაღლე, ბურჯი, სადაც განისვენებენ გვამნი ბომბეის მცხოვრებთა. ამ კუნძულზედ 80,000 პარსია და ყოველი მათგანი დღე-დღეზედ მოელის იქ, იმ კოშკების უფსკრულში, განსვენებას. მაგრამ არა, არც თუ იქა აქვთ მოსვენება. კოშკის გალავანზედ დარაჯად მსხდომი სვავთა გუნდი დაეცემა მათ გვამს და ორ საათში ჩონჩხად აქცევს. პარსებს ძლიერ თავისებური ჩვეულება აქვთ, განსაკუთრებით დასაფლავებისა. აგერ მოასვენებენ სამ დასად დაყოფილი პარსნი მიცვალებულს, სპილენძის ფიცარზედ დასვენებულს. თან მისდევენ წყვილ-წყვილად თეთრ-ხელსახოცით ხელებ გადაბმული (გლოვის ნიშნად) პარსები. პროცესია ჩუმად მიდის. მიუახლოვდებიან თუ არა „მდუმარების კოშკს“ ოცს საჟენზედ, პროცესია შეჩერდება, რადგანაც იქვე ბოძზედ წარწერა „შეჩერდით“ ნებას აღარ აძლევს წინ სვლისას. მხოლოდ რამდენიმე პარსი, თავით ფეხებამდე თეთრ ტანისამოსში გახვეული, თეთრის ხელთათმანებით, წაიღებენ მიცვალებულს კოშკის კარებისაკენ. პროცესიას უკან მისდევს მოსამსახური—ინდუსი, რომელსაც მიჰყავს პატარა ფინია. ჯერ სწორედ არ არის გამოკვლეული, თუ რას ნიშნავს ეს ფინია უკანს გაყოლა. მაგრამ ორნაირი აზრია ამის შესახებ: 1) ამბობენ, ძაღლი წმინდა პირუტყვად მიაჩნიათ პარსებს და მისი მიცვალებულის უკან გაყოლება ნიშნავს მიცვალებულის სამოთხისკენ გამგზავრებასაო. 2, ამბობენ აგრეთვე, რომ ბომბეელების აზრით ერთგვარ ჯიშის ძაღლს მოელვარე, ანდამატური თვალები აქვს და სწრაფად აქრობს თავის გარშემო ყოველ გვარ უწმინდურებასაო.

20 საჟენზედ პროცესია შეჩერდება და მიცვალებულს წაასვენებს კოშკისაკენ რამდენიმე მესაფლავე! მიცვალებულის დანახვაზედ კოშკის გალავნიდგან წამოიშლება აუარებელი გუნდი სვავთა და ყვავყორანთა და შავად დაჰფარავს მთელს მიდამოს. მესაფლავენი შეასვენებენ მიცვალებულს კოშკში და აუზის ნაპირას დაასვენებენ. სვავები დაეცემიან მიცვალებულსა და ერთ-ორ საათში ცარიელი ჩონჩხი-ღა შერჩება მიცვალებულს. ამ ჩონჩხს ჩაუშვებენ იქვე აუზში და გამობრუნდებიან შინისკენ. მდუმარების კოშკი ღრმა დუმილში ჩაუჩუმჩულავდება. მხოლოდ სვავთა ფთხრიალ-ფრატუნი არღვევს ამ საშარის მსგავს მდუმარებას. ასე იციან ბომბეიში მიცვალებულის დასაფლავება.

სიკვდილის დროს მომაკვდავი სამს ლოცვას კითხულობს: „ღმერთო, მფარველო, ყველამ მიმატოვა, შენ მაინც იყავნ ჩემდა მფარველად“. მეორე ლოცვა: „ღმერთო მომიტევე ყოველი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი“. მესამე ლოცვაში მომაკვდავი აბარებს სულს შემოქმედსა. საზოგადოდ პარსებს აზიაში პირველი ადგილი დაეთმობათ ცივილიზაციის მხრივ. ქალები დიდის პატივის ცემითა და თავისუფლებით სარგებლობენ. სარწმუნოებაც არა აქვს ურიგო. მხოლოდ საპოვნებელია ისეთი ხალხი, გარდა პარსებისა, სადაც ასე მცირედ ხდებოდეს ქურდობა, მოტყუება და კაცის კვლა. იმათი უმთავრესი რწმუნება და მცნება არის, „ღმერთი შველის იმას, ვინც სხვას ეხმარებაო“. თუმცა იმათ ჩვენსავით არა აქვსთ დადებული კვირა-უქმეები, მაგრამ, როცა რაიმე გაჭირვება დაატყდებათ თავს, მიჰმართავენ სამლოცველოს, სადაც განუქრობლად ჰღვივის „ღვთიური ცეცხლი“, ზოროასტრის მიერ მინიჭებული. იქ, იმ „ღვთიურ ცეცხლის“ წინ, იგონებენ ზენა არსებას და გულმხურვალედ შესთხოვენ სათხოვარსა. მონათვლაც თავისგვარად იციან. ყმაწვილი შესრულდება თუ არა შვიდ-თერთმეტის წლისა, მშობლები მისცემენ მღვდელს 15 რუპის, რათა იაროს მან ყმაწვილთან რამდენიმე კვირა და მოსანათლად შეამზადოს. მღვდელიც შემზადების შემდეგ შემოახვევს ყმაწვილს წელზედ აბრეშუმის ყაითანს, რომელიც სიკვდილამდე უნდა ატაროს. ეს არის თავი და ბოლო მათის ნათლობისა. ეს შემზადების წესი „ნავიოტად“ იწოდება. პარსები თავის სარწმუნოებას მტკიცედ ადგანან და არას იშურებენ „მდუმარების კოშკთა“ ასაგებად. ამ ცოტა ხანში ააშენეს ახალი კოშკი და 210,250 მანათი დაუჯდათ. ეს კოშკი 100 ფუტის სიგრძე-სიგანით და 216 მიცვალებულს დაიტევს ერთბაშად.

# გასართობი

## სიამის მეფე

სიამის მეფე კარგის შეხედულობის კაცია, კეთილ-შობილური, მიმზიდველი სახე აქვს. კარგი სწავლა მიუღია(?), სულგრძელია, მტკიცე ხასიათისაა და თავი მედიდურად უჭირავს. ეს უფრო გარეგანი მხარეა და მეფის ღირსება ამით თავდება.

მამობრივულის მოვალეობის აღსრულებას ძალიან ადრე შესდგომია. თხუთმეტის წლისას თურმე ორი ქალიშვილი ჰყოლია ერთს მეტად ახლო ნათესავ ქალისაგან. რამდენი ცოლი ჰყავს ეხლა სასახლეში—გარეშე კაცმა არავინ იცის. ამაზედ რომ ჰკითხოთ სიამელს, „კანგკაკო“ გეტყვის, ე. ი. საიდუმლოაო, მეტს ვერას იტყვის—აღრკმალულია. მეფეს ამ ჟამად ასზედ მეტი შვილი ჰყავს. მისი სასახლე მთელი ქალაქია. ყველა ცოლთაგანს მრავალი მეირთვასეული ულაგია.

თავის სამეფოს ამბავი მეფემ სრულიად არ იცის, ამისთანაებით როდი აწუხებენ ნაზარ-ვეზირნი. ისიც-კი არ იცის, იმის სატახტო ქალაქში რა ჰხდება.

როდესაც მეფეს გასეირნება მოუნდება სადმე, რაც ძალიან იშვიათია, სატახტო ქალაქის ბანკოკის ქუჩებს მხოლოდ მაშინ სწმენდენ და ჰგვიან; ჯარისკაცნი და პოლიციელნი იმ ტანსაცმლით ირთობიან, რომელიც მხოლოდ ამ შემთხვევისთვის არის შემოღებული. ბანკოკიც მოირთობა და ევროპის ქალაქებს დაემსგავსება. მეფე რომ თავის სასახლეში დაბრუნდება, ქალაქი ისევ იცვლება, ნაგვითა და უწმინდურებით ივსება. როცა მეფე აგარაკად მიდის ბანგ-ნა-ინში, თან მიჰყავს ყველა ცოლები და შვილები, გადია—მოახლეებითურთ. ამათ გარდა, ათასამდე კარის-კაცი მისდევს. როდესაც მეფის გვარეულთაგანი მოკვდება ვინმე, დიდის ცერემონიით დასწვამენ ხოლმე. სიამის უკანასკნელის მეფის გვამის დაწვაზედ 600,000 მანათზედ მეტი დაიხარჯა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთში, №138, დაბეჭდილია ბ-ნ აპ—ნ ჭა—ლის წერილი იმ კამიტეტის შესახებ, რომელიც შესდგა აქ, ბათუმში, ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზ გრიგოლის კურთხევით ქართულის საეკკლესიო ხორის დასაარსებლად, და, სხვათა შორის, წერილში გამოთქმულია საყვედური ეკკლესიის ზოგიერთ მსახურთა მიმართ, „რომელნიც,—„კრავის ტყავში გამოხვეულები“,—ხელს უშლიან მშვენიერ და სასარგებლო საქმეს და ხმებს ავრცელებენ, ვითომც აქედამ არაფერი გამოვა და ფულს ტყუილად დასარჯავთო“... საჭიროდ ვრცხ გამოვაცხადო, რომ „ივერიის“ პატივცემული მოამბე შემცდარია. საეკკლესიო მსახურთაგან არავინ გვეგულება ისეთი, რომელიც ამ საქმეს არ თანაუგრძნობდეს და იმდენად დაემცირებინოს თვისი სახელი, რომ ხელს უშლიდეს ქართულის საეკკლესიო გალობის დაფუძნებას ბათუმში. პირ-იქით, გასაოცარია ის საერთო გულ-მხურვალება და მხნე ერთობა, რომელსაც განუჩრეველად იჩენს მთელი აქაური ქართველობა ყოველს საზოგადო საქმეში,—სკოლა იქნება იგი, თუ საეკკლესიო გალობა და ეკკლესიის აშენება, და რო-

მელსაც, იმედია, შემდეგშიაც არ შეარჩევს არავითარი უგადრისი და მავნე შფოთი და უსიამოვნება.

გრ. ვოლსკი

# დეპეშა

23 ივლისი

**პეტერბურგი.** გუშინ, ხელმწიფე იმპერატრიცის სახელწოდების დღეს, მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ და ხელმწიფის სახლობამ მოისმინეს წირვა პეტერგოფის დიდის სასახლის ეკკლესიაში. შემდეგ სასახლეში საუზმე გაიმართა. პეტერგოფში ხალხი ათი ათასობით შეგროვდა; პარკი მშვენივრად იყო გაჩირაღდნებული.

24 ივლისი.

**ვენა.** ორშაბათს აქ დაიწყობა სადამოყნო - სავაჭრო კონფერენცია. „Neue Freie Presse"-ი სწერს, რომ კონფერენციამ უპირველეს ყოვლისა უნდა განიხილოს ის საბუთები, რომლის ძალითაც ავსტრი-ვენგრია აძლევს იტალიასა და სერბიას ისეთს უფლებებს, რომლებიც არ მიენიჭება ამ სახელმწიფოთ სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობაში.

ტრიესტიდგან იუწყებიან, რომ ადგილობრივმა მთავრობამ გადასწყვიტა, რუსეთიდგანა და სამხრეთ საფრანგეთიდგან მოსული გემები ხუთ დღეს კარანტინში დააყენონ.

**ბერლინი.** პრუსიის მთავრობამ დაამტკიცა მარიენბურგი მლავას რკინის გზის ტარიფი, რათა არ შესწყდეს პურის გადატან-გადმოტანა.

იმის გამო, რომ რუსეთმა გერმანიის გემებს გარდასახადი დაადო, გაზეთი Fr. Corespondent-ი ამბობს, ეს ღონისძიება ძლიერ სასტიკია გერმანიის გემების პატრონებისთვის, რადგანაც რაც საქონელი მიდის რუსეთში, სულ გერმანელებს მიაქვთ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152³/₄ | 153³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 241¹/₄ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 225¹/₄ | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194¹/₄ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## „ივერიის" ფოსტა

**ს. ქ—ას. ი. პ. მ—ს.** თქვენი შენიშვნა არ დაიბეჭდება. მიზეზს თქვენ თვითონ მიხვდით.

**ს. ა—ძეს.** თქვენის წერილის დაბეჭვდა მოსახერხებელ საქმედ ვერ ვსცანით. რასაც გვპირდებით, იმის დაბეჭვდაც ძნელი და მოუხერხებელი იქნება.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე ძკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის რ ა ო ბ ი ვით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—77)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |
| ჰამლეტი, მისივე . . . | „ | 30 |
| მაკბეტი, მისივე . . . | „ | 40 |
| რიჩარდ მესამე, მისივე. . | „ | 40 |
| მეფე ლირი, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა. . . . . | „ | 60 |
| ლექსები ალ. ჭავჭავაძისა. | „ | 30 |
| პატარა კახი აკ. წერეთლისა. . . . . . . | „ | 50 |
| სამგვარი სიყვარული, მისივე . . . . . . . | „ | 30 |
| სალამური, მისივე . . . | „ | 15 |
| ძირითადი უკუღმართობა, ი. გოგებაშვილისა . . | „ | 20 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |

# გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოანი,** 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი,** 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი,** 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7¹/₂ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი" (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს, იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს დაკონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ"-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი", ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიალპოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამიოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(20—14)

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მაიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანველიანცს, ტფილისს. (24—7)

Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Іюля 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე